

ერთი შემთხვევის შესწავლა: არასასურველი ქცევების შემცირება
ფუნქციურ-კომუნიკაციური ტრენინგით, ინსტრუქციის მიყოლა
პოზიტიური განმტკიცების ვარიანტული გრაფიკის გამოყენებით

ნატო წიკლაური
ნათია ფეიქრიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა ძაძამია
აკადემიური ხარისხი: დოქტორანტი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებულია სათანადო წესების შესაბამისად.

ნატო წიკლაური, ნათია ფეიქრიშვილი

01.06.2024

აბსტრაქტი

აღნიშნულ კვლევაში, გამოვიყენეთ ერთი შემთხვევის დიზაინი (SSD), იმის დასადგენად, თუ რამდენად შეცვლის მოსწავლის რთულ ქცევს ფუნქციური კომუნიკაციის ტრენინგი და რამდენად გაუმჯობესდება აკადემიური დავალებების შესრულება, ქცევის პოზიტიური განმტკიცების გამოყენებისას. ფუნქციური კომუნიკაციის ტრენინგი (FCT) არის დიფერენციალური განმტკიცების (DR) პროცედურა, მის ფარგლებში ინდივიდს ასწავლიან ალტერნატიულ, სოციალურად მისაღებ პასუხს, რომელიც იწვევს იმავე რიგის განმტკიცებას რასაც პრობლემური ქცევა. ეს არის საერთო ფუნქციაზე დაფუძნებული ინტერვენცია, სადაც ისწავლება კომუნიკაციის ალტერნატიული ფორმა, პრობლემური ქცევის შესამცირებლად. კვლევა ჩატარდა თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის, მე-3 კლასის მოსწავლესთან, რომელსაც უჭირდა ინსტრუქციის მიყოლა მშვიდად. ავლენდა წუწუნის და სასწავლო სივრციდან გაქცევის ეპიზოდებს, ინსტრუქციის თავიდან არიდების/მისგან გაქცევის მიზნით. ინტერვენცია ჩატარდა შვიდ ეტაპად. ჩვენი მიზანი იყო მოსწავლისთვის გვესწავლებინა წუწუნის და ოთახიდან გაქცევის ჩამანაცვლებელი, სოციალურად მისაღები ფრაზები, რომელიც უფრო ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვდა მისგან სასურველის მისაღებად. შემდეგ ეტაპებზე მიზანს წარმოადგენდა ინსტრუქციის მიყოლა მშვიდად, რისთვისაც პოზიტიური განმტკიცების მეთოდს მივმართეთ. მშვიდად შესრულებაში იგულისხმება, ინსტრუქციის მიყოლა წუწუნის, ოთახიდან გაქცევის და კონტექსტის შეუსაბამო საუბრების ეპიზოდების გარეშე.

კვლევა განხორციელდა ერთი შემთხვევის დიზაინის (SSD) გამოყენებით. პირველ ეტაპზე ვიკვლიეთ არასასურველი ქცევის სიხშირის შემცირება ფუნქციური კომუნიკაციის დასწავლით, რისთვისაც გამოვიყენებთ ფუნქციურ-კომუნიკაციური ტრენინგი. ხოლო, მეორე ეტაპზე, ქცევის პოზიტიური განმტკიცების ვარიანტული გრაფიკის გავლენა აკადემიური დავალებების შესრულებაზე. შედეგებმა აჩვენა, რომ ფუნქციური კომუნიკაციის ტრენინგი ნამდვილად ეფექტური სტრატეგიაა რთული ქცევის სამართავად. წუწუნი და ოთახიდან გაქცევის ეპიზოდები მთლიანად ჩამანაცვლა

ალტერნატილმა პასუხებმა და შემცირდა შეუსრულებელი ინსტრუქციების სიხშირე. შესაბამისი ინტერვენცია არ დაგეგმილა, თუმცა მშობლის გადმოცემით დასწავლილი ფუნქციური კომუნიკაცია მოსწავლემ გადაიტანა სახლის გარემოში, კვლევის შეწყვეტიდან 3 კვირის შემდეგ მშობელის თქმით, ცდისპირი რეალურ გარემოში, სახლში და თერაპიებზე, იყენებს დასწავლილ ფუნქციურ კომუნიკაციას.

სამომავლოდ შეიძლება ვიკვლიოთ თუ რამდენად შენარჩუნდება აკადემიური დავალებების შესრულების მაღალი მაჩვენებელი, განმტკიცების გრაფიკის შემცირების შემთხვევაში.

საკვანძო სიტყვები: რთული ქცევა, ფუნქციური კომუნიკაციის ტრენინგი (FCT), დიფერენცირებული განმტკიცება (DR), ერთი შემთხვევის დიზაინი (SSD)

Abstract

In this study, we used a single subject design (SSD) to determine how functional communication training (FCT) would change a student's challenging behavior and improve the completion of academic tasks when positive reinforcement is used. Functional Communication Training (FCT) is a procedure of differential reinforcement (DR) where individuals are taught an alternative, socially acceptable response that produces the same reinforcement as the problematic behavior. This is a common function-based intervention that teaches an alternative form of communication to reduce problematic behavior. The study was conducted with a third-grade student from a public school in Tbilisi who had difficulty following instructions calmly, displaying whining and escape episodes to avoid instructions. The intervention was conducted in seven phases. Our goal was to teach the student socially acceptable phrases to replace whining and escaping from the room, which required less effort to achieve the desired outcome. In subsequent phases, the goal was to follow instructions calmly, using the method of positive reinforcement.

The study was conducted using a single subject design (SSD). In the first phase, we investigated the reduction in the frequency of undesirable behavior through the learning of functional communication using functional communication training. In the second phase, we examined the impact of a variable schedule of positive reinforcement on the completion of academic tasks. The results showed that functional communication training is indeed an effective strategy for managing challenging behavior. Whining and room escape episodes were entirely replaced by alternative responses, and the frequency of uncompleted instructions decreased. No specific intervention was planned; however, according to the parent, the learned functional communication was transferred to the home environment. Three weeks after the end of the study, the parent reported that the subject was using the learned functional communication in real-life settings at home and during therapy sessions.

In the future, it will be possible to observe the extent to which the high level of academic task completion is maintained when the reinforcement schedule is reduced.

Key-words: Problem behavior, Functional communication training (FCT), differential reinforcement (DR), single subject design (SSD)

მადლობა

უპირველეს ყოვლისა ,დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს ხელმძღვანელს ქალბატონ ნატა ძაძამიას კვლევის პროცესში გაწეული უდიდესი დახმარებისათვის.

კვლევის ჩატარების ხელშეწყობისა და გაწეული დახმარებისათვის ,ასევე დიდ

მადლობას ვუხდით ქ.თბილისის #-ე სკოლის დირექტორს, ქალბატონ-, სკოლის ადმინისტრაციას, აგრეთვე კლასის დამრიგებელსა და მოსწავლის

მშობელს .

და ბოლოს, ჯგუფის წევრები მადლობას ვუხდით ერთმანეთს თანამშრომლობისათვის.